# მორიგ სესიაზე

დასავლეთგერმანულ ქალაქ ბადენ-ბადენში „ბადიშენ-ჰოფის“ სასტუმროში მუშაობა დაიწყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მორიგმა სესიამ, რომელსაც ესწრებიან აღმასკომის 6 წევრი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების 105 პრეზიდენტი. სესიის მუშაობაში სსრ კავშირის მხრიდან მონაწილეობენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი კ. ანდრიანოვი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი ა. რომანოვი და სხვ.

სესია განიხილავს საერთაშორისო სპორტის დიდმნიშვნელოვან საკითხებს. ცხარე კამათი გამოიწვია საკითხმა სპორტში მოყვარულობის შესახებ. ყველას მოულოდნელად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ე. ბრენდეჯმა განაცხადა, რომ სპორტსმენები, რომლებიც მსახურობენ არმიაში, სტუდენტები, რომლებიც იღებენ სტიპენდიას, სპორტსმენები, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო დაწესებულებებში, არ შეიძლება ჩაითვალონ მოყვარულებად. სპორტსმენთა ამ ჯგუფს პრეზიდენტმა უწოდა „ცრუმოყვარულები“. ე. ბრენდეჯის წინააღმდეგ გამოვიდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტები ა. მასარი და მარკიზი ექსეტერი, რომლებმაც განაცხადეს, რომ ეს შეფასება არ შეიძლება ხელოვნურად გადმოტანილ იქნას წინა საუკუნიდან ჩვენს ეპოქაში, რომ მიზანშეწონილი არ არის პროფესიონალიზმთან ბრძოლა მოყვარულთა ხარჯზე. განიცადა რა დამარცხება სხდომის დაწყებისთანავე, პრეზიდენტი განერვიულდა. როცა დაიწყო სსრ კავშირისა და ბულგარეთის დელეგაციების წინადადების — თამაშების პროგრამის შემცირების — საკითხის მოხსნის შესახებ, ისარგებლა რა თავისი უფლებებით, ე. ბრენდეჯმა არ დაუშვა ამ საკითხის განხილვა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრის კ. ანდრიანოვის (სსრ კავშირი) წინადადებით განხილულ იქნა პოლიტიკური ხასიათის პრობლემატური საკითხები, მაგრამ ე. ბრენდეჯის ზემოქმედებით საერთაშორისო კომიტეტმა მხარი აუქცია იმ საკითხებს, რომლებიც ასე აღელვებს სპორტულ საზოგადოებრიობას. კ. ადრიანოვმა წინადადება შეიტანა სრული ოლიმპიური სტატუსი მიენიჭოთ გდრ-სა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას, უფლება მიეცეთ გდრ-ს და გფრ-ს თამაშებზე გამოვიდნენ ცალკ-ცალკე გუნდებით, ხოლო დასავლეთ ბერლინს — ცალკე გუნდით.

დაიწყო განხილვა 1968 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარების ადგილის კანდიდატურათა საკითხისა. დეტროიტის (აშშ) და ლიონის (საფრანგეთი) სპეციალური ემისრები ცდილობდნენ ოლიმპიური კომიტეტის წევრების თავიანთ მხარეზე გადაბირებას. პირველმა ტურმა უპირატესობა მოუტანა ლიონს.






20 ოქტომბერი

კვირა,

1963 წ.

№ 208 (2313)

გამოცემის მე-20 წელი.

ფასი 3 კაპ.


★

ირანელი მოჭიდავე ა. მოვახედი დიდი ფიზიკური ძალის სპორტსმენია. იგი ამავე დროს კარგად ფლობს თავისუფალი ჭიდაობის ურთულეს ილეთებს. ამიტომ ხალხთა III სპარტაკიადის ჩემპიონს ზ. ბერიაშვილს მთელი თავისი გამოცდილების მობილიზება მოუხდა, რათა აერთვა მისთვის ერთადერთი ქულა. ამ ქულამ ზ. ბერიაშვილს მოუტანა ძნელი, მაგრამ საპატიო გამარჯვება. სურათზე თქვენ ხედავთ ა. მოვახედს (მარცხნივ) და ზ. ბერიაშვილს შეტევის დაწყების წინ. უკანა პლანზეა არბიტრი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ვ. ბალავაძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

• • •

ამ უცნაური საჭადრაკო შეხვედრის მონაწილენი, როგორც ხედავთ, საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. დაფას მარჯვნიდან უზის ცნობილი საბჭოთა გროსმაისტერი და ჟურნალისტი ს. ფლორი. მისი მოწინააღმდეგეა ზ. სოფია. თამაშს გულმოდგინედ ადევნებენ თვალს კ. ობოლაძე და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ბოტვინიკი. სურათი გადაღებულია სოხუმში ი. შენგელიას მიერ.

★


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов


## პატარა მოჭადრაკეები მ. ბოტვინიკთან

— ზურიკოს მეტყველი თვალები აქვს. მათში აზრი იკითხება, — მეუბნებოდა მ. ბოტვინიკი გალიდან გამგზავრების შემდეგ, სადაც მან გავლით გაიცნო პატარა მოჭადრაკეები ზურიკო სოფია და კამოლა ობოლაძე.—კამოლა უფრო სერიოზულია. ახლა ნამდვილად მაინტერესებს მათი თამაშის ნახვა.

მეორე დღეს სოხუმში, სადაც ბოტვინიკი საგანგებოდ გაჩერდა ბავშვების თამაშის სანახავად, ჩამოვიდნენ პატარა მოჭადრაკეები თავიანთი „ამალით“.

— ვფიქრობ, პატარა ზურიკოს ესიამოვნება „პატარა ფლორთან“ თამაში, — ხუმრობს სალო ფლორი და ჯდება ზურიკოსთან სათამაშოდ. — კარო-კანის დაცვა თუ იცი ზურიკო?

პატარა მოჭადრაკე მორცხვობს. მ. ბოტვინიკი, სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ოსტატი ლ. აბრამოვი სხვებთან ერთად ელოდებიან თამაშის დაწყებას. კამოლა ძლივს წვდება მაგიდას. ის ინტერესით უსმენს უფროსებს.

თამაში დაიწყო. ზურიკო თამამად ავითარებს ფიგურებს. ფლორი ღიმილით აკეთებს სვლებს და წამოიძახებს ხოლმე „ყოჩაღ ზურიკო!“. ბოტვინიკი მონუსხულივით დასცქერის დაფას. თამაშს უყურებს ფლორის მეუღლეც. როცა ზურიკომ ლაზიერში სამი მსუბუქი ფიგურა მოიგო, ფლორს მეუღლემ წყენით მიმართა:

— სალო გეყოფა, დანებდი. ამდენიც რომ შეძლო ამ ციცქნა, ბიჭმა, ისიც კმარა.

მაგრამ ზურიკო არ ღებულობს კაპიტულაციას, პარტია გრძელდება.

შემდეგ თამაშობს კამოლა. ბოტვინიკს ვატყობ მოსწონს გოგონას თამაშის მანერა, დაკვირვებული, გააზრებული.

— ვინ ასწავლა კამოლას საჭადრაკო კოდექსის წესები? — ეკით-

ინჟინერ დავით ობოლაძეს.

— ბაბუა ლეონტიმ. მამაჩემი არ არის მოჭადრაკე, მაგრამ იცის თამაშის მარტივი წესები.

— კარგი საქმე გაუკეთებია, — ამბობს ბოტვინიკი, — ის, რომ ზურიკო თითებს ადებს უჯრებს, იბრუნებს სვლებს, ცუდია, სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს ჩვეულება ხელს შეუშლის მის აზროვნებას, მომავალი პოზიციის წარმოსახვას და გონებაში ვარიანტების გათვლას. კამოლა კი თავიდან მიჩვეულია წესრიგს.

— ბავშვები უდაოდ ნიჭიერნი არიან, — გაგვიზიარა თავისი აზრი ბოტვინიკმა. — მათგან კარგი მოჭადრაკეები გამოვლენ. შეიძლება უდიდესი ძალისაც, თუმცა ძნელია ახლა ამაზე ლაპარაკი. საჭადრაკო პედაგოგიკას არ გააჩნია მსგავსი ვუნდერკინდების სწავლების გამოცდილება, ამიტომ გაუკვალავი გზით მოუწევთ სვლა. ჩემის აზრით, პირველ რიგში, უნდა ვიფიქროთ მათს ჯანმრთელობაზე, ისე რომ, არ დავუკარგოთ ინტერესი ჭადრაკისადმი. ვაცალოთ სასკოლო ასაკამდე. მანამდე აუცილებლად უნდა ჩავიწეროთ მათი ნათამაშევი პარტიები, რათა თვალი ვადევნოთ მათი თამაშის ევოლუციას. ბავშვებმა უნდა ითამაშონ მხოლოდ ოდნავ ძლიერ მეტოქეებთან. შემდეგ კი ვასწავლოთ საჭადრაკო მართლწერა და ჩავუნერგოთ დამოუკიდებელი მუშაობისადმი სიყვარული.

— თავი შევიკავოთ გადაჭარბებული ქებისაგან, — დასძინა ს. ფლორმა. — ეს მხოლოდ ზიანს მოუტანს ბავშვებს.

ზურიკო და კამოლა ბოტვინიკმა ტკბილეულით დაასაჩუქრა, ხელთ აიყვანა. ბავშვებმა უკვე იცოდნენ თუ ვინ იყო მათი მასპინძელი.

## კენჭისყრა შედგა

გრძელდება ევროპის თასის გათამაშება ფეხბურთში. ამჟამად მიმდინარეობს მერვედფინალური მატჩები და 14 გუნდი იბრძვის თამაშებში შემდგომი მონაწილეობის უფლებისათვის. ორმა გუნდმა უკვე მოიპოვა მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება. ესენია შვეციისა და ირლანდიის გუნდები.

ციათა კავშირმა ესპანეთის ქალაქ ტარაგონაში მოაწყო კენჭისყრა, რომელმაც გამოავლინა მეოთხედფინალის წყვილები. როგორც ცნობილია, სსრ კავშირისა და იტალიის ფეხბურთელებს მეორე მატჩი დარჩათ ჩასატარებელი რომში. ამ წყვილში გამარჯვებული გუნდი

ციას. ირლანდიელები ითამაშებენ ესპანეთისა და ჩრ. ირლანდიის გუნდებს შორის გამარჯვებულთან. ჰოლანდიასა და ლუქსემბურგს შორის გამარჯვებული შეხვდება დანიასა და ალბანეთს შორის გამარჯვებულს, ხოლო ბულგარეთსა და საფრანგეთს შორას გამარჯვებული — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკასა და უნგრეთს შორის გამარჯვებულს.

# მეტყველი დუმილის ოთახი

შედიხართ პატარა ოთახში, გულისყურით ათვალიერებთ სტენდებზე განლაგებულ ექსპონატებს, ანტიკური ეპოქის ადამიანის სამარხის ნივთებს, გვარჯილის გამოქვაბულში ნაპოვნი კაჟისა და ქვის იარაღებს, ბრინჯაოს ბალთებს, სხვადასხვა კერამიკულ ნაწარმს, შუბის წვერებს კაჟისა და ბრინჯაოსაგან დამზადებულს... აგერ ეთნოგრაფიული კუთხე... ხისგან გამოკვეთილი ღვინის სასმისები, ხონჩები, პრიმიტული სასწორები, საწყაოები, ბამბის დასამუშავებელი იარაღები, 400 სიგელ-გუჯარი, ვერცხლისა და ლითონის მონეტები... აქ თავმოყრილია მცირეოდენი, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი სამუზეუმო ნივთები და ექსპონატები. ასე მონდომებით, მზრუნველობით, სიფაქიზით და სიყვარულით დააგროვა ყველაფერი, რაც თქვენ წინაშეა და ამით თავისი წვლილი შეიტანა დიდ ეროვნულ საქმეში ჭიათურის პიონერთა და მოსწავლეთა სახლთან არსებული ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელმა, ს. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს გამამდიდრებელი ფაბრიკის ზეინკალმა გოდერძი სამხარაძემ.

მშობლიური სოფლის მიდამოებში და მდინარე ყვირილას ხეობაში აღმართული პიტალო კლდეები და გამოქვაბულები ბავშვობიდანვე იზიდავდა, თავისკენ უხმობდა. მაგრამ მარტო სურვილი და ლტოლვა როდი კმაროდა ციცაბო კლდეზე ფეხის მოსაკიდებლად. 1950 წელს ნალჩიკში, ზედა ბაქსანის ალპინისტურ ტურისტულ საკავშირო ბანაკში მეცადინეობამ კიდევ მეტად გაუღვივა ინტერესი მწვერვალებისადმი. ბანაკში მიღებული თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული ჩვევებით შეიარაღებული იწყებს გამოქვაბულთა დალაშქვრას, პირველ წარუმატებლობას წარმატება ენაცვლება. მონდომებას, სიმამაცეს და ოსტატობას წინ რა დაუდგება! გოდერძის დღეისათვის 100-ზე მეტი გამოქვაბული აქვს გამოკვლეული.

კაცხის თვალშეუდგამ სვეტზე ასვლა და იქ გამოჩენილი ალპინისტის ალიოშა ჯაფარიძის ბარათის პოვნა, მრავალი ტურისტული ლაშქრობა და მათ შორის ყველაზე ხანგრძლივი, 20-დღიანი ლაშქრობა კახეთში... გ. სამხარაძეს სალაშქრო და ალპინისტური იარაღები საკუთარი დანაზოგებით აქვს შეძენილი. იბრძვის ამ სპორტის მასობრიობისათვის. გოდერძის წინამძღოლობით მ. ბრეგვაძე, გ. ქამუშაძე, ჰ. ბარათაშვილი და სხვები არა ერთი ლაშქრობის მონაწილენი არიან. მათ მიღებული აქვთ საბჭოთა კავშირის ტურისტის წოდება და საზოგადო ინსტრუქტორებად ითვლებიან. გ. სამხარაძე პირველი გამოეხმაურა ახლახან დაარსებული ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს მოწოდებას და მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა ჩვენი წინაპრების ყოფაცხოვრებისა და კულტურის ამსახველი რამდენიმე ნივთი. გოდერძი ტურისტული კლუბის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეა და ჩვენ კითხვაზე წლის ბოლომდე თუ რომელი არასტუმართმოყვარე კლდე აქვს მიზანში ამოღებული, გვპასუხა: ეს კლდე მდებარეობს სოფ. შქმერში (ონის რაიონი), რომელსაც ხალხი უხსოვარ დროიდან „თამარ დედოფლის კლდეს“ უწოდებს. ამ ფრიალო თვალუწვდენელ სალ კლდეზე ჩაშენებულია თამარის საყდარი, რომელიც არ არის შესწავლილი და საიდუმლოების ბურუსით არის მოცული, თუმცა გასული საუკუნის 90-იან წლებში ორი წლის შრომისა და მტკიცე ნებისყოფის წყალობით, მიუვალი კლდე დაიპყრო ბოყოველმა გლეხმა პ. ომანიძემ. ჩვენ კვლავ უნდა მივიტანოთ იერიში „თამარის კლდეზე“. ვინ იცის რამდენი რამეა იქ საინტერესო, მტვრის ქვეშ დაფარული, რომელთა აღმოჩენა კიდევ მეტად გაამდიდრებს ჩვენი ერის მატერიალური კულტურის ძეგლთა საგანძურს.

სინანულით და გასაოცარი გრძნობით შეპყრობილნი ვტოვებთ ხელოსგულის ტოლა ოთახს, სადაც მეტყველი დუმილით ლაღადებენ საუკუნეები.

ა. გალუსტოვი,
ნ. ბრეგვაძე



**დღეს!** მეტეხის ციხის კლდეებზე

შედგება ალპინისტთა საჩვენებელი გამოსვლები

დასაწყისი 12 ს.

ნახატზე ნაჩვენებია მარშრუტები, რომლებზეც იმოძრავებენ სპორტსმენები.

# „კლდის ვეფხვი“

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვისაა ცნობილი, ამას წინათ მოეწყო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაული. ამ თარიღთან დაკავშირებით იქ მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა. ერთ-ერთი მათგანი იყო მთამსვლელთა საერთაშორისო ფესტივალი.

პატარა ქალაქ ვრატციდან თვალნათლივ მოჩანდა მძლავრი პროჟექტორებით განათებული კლდეები, შეიმჩნეოდა აგრეთვე მარშრუტები, რომელიც უნდა დაეძლიათ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ მთამსვლელებს.

ფესტივალი დაიწყო. ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, გერმანიის დემოკრატიული და ფედერაციული რესპუბლიკების, ავსტრიის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის მთამსვლელებმა დაიკავეს საწყისი პოზიციები შვეული კედლების ძირში. შეჯიბრების პირობები ასეთი იყო: ორი კაცისაგან შემდგარ გუნდს უნდა გაევლო ციცაბო კლდეზე გაყვანილი მარშრუტი, ვინც ყველაზე მოკლე დროში გაივლიდა მანძილს, გამარჯვებაც მას ეკუთვნოდა. საბჭოთა კავშირის გუნდი, რომელიც შედგებოდა სამი მთამსვლელისაგან — მიხეილ ხერგიანი, ვლადიმერ კაუნენკო და ალექსანდრე კასპინი — 9 სექტემბერს სოფიას ეწვია და მეორე დღესვე ალპინისტურ ბანაკ „მოლოვიცაში“ ავიდა.

ფესტივალის ხელმძღვანელებმა, ბულგარელმა ალპინისტებმა გ. აფანასევმა და ა. აბრამოვმა შეჯიბრების მონაწილეებს უფლება დართეს ვარჯიშის მიზნით აერჩიათ რომელიმე მარშრუტი და დაეძლიათ იგი. ხერგიანმა და კაუნენკომ 300 მეტრი სიგრძის 75 გრადუსის დახრილობის მესამე კატეგორიის ტრასა აირჩიეს. ისინი წინასწარ გააფრთხილეს, რომ ტრასის გავლას საუკეთესო კლდეზე მცოცავები საათნახევარს ანდომებენ. მ. ხერგიანმა და მისმა კოლეგამ იგი 30 წუთში დაფარეს. შემდეგ მათ მეოთხე კატეგორიის ტრასა შესთავაზეს სავარჯიშოდ. გ. აფანასევმა გააფრთხილა, რომ მარშრუტის სარეკორდო დრო სამი საათიაო. ხერგიანი და კაუნენკო შეებნენ კლდეებს და ერთ საათში გაძლეს.

ვარჯიში რომ დაამთავრეს, კლდის ძირას შეკრებილმა მონაწილეებმა და მაყურებლებმა ალყა შემოარტყეს საბჭოთა მთამსვლელებს. ერთ-ერთი მათგანი მიუახლოვდა ხერგიანს და უთხრა:

— ვიცოდი, რომ თქვენ „კლდის ვეფხვს“ გიწოდებდნენ, არ მჯეროდა, ახლა კი დავრწმუნდი. მოძრაობის ასეთი ტემპი, ალღო, ასეთი ძლიერი მუხლი, ჯერ მე არ შემხვედრია.

17 სექტემბერს დაიწყო შეჯიბრება. გუნდები საკუთარი მარშრუტის ძირში მოეწყვნენ. ხერგიანსა და კაუნენკოს ნება დართეს თვითონ აერჩიათ მარშრუტი. მათი არჩევანი მეხუთე კატეგორიის 400 მეტრი სიგრძის, ზოგან უარყოფითი კუთხის მქონე შვეულ კედელზე შეჩერდა. აი ამ მარშრუტის შესახებ რა გვიამბო მიხეილ ხერგიანმა:

— კლდის ძირას თავი მოეყარა მაყურებელს, ჩვენ უკვე გვიცნობდნენ არა მარტო მონაწილეები, არამედ ქალაქის მცხოვრებლებიც, რადგან გაზეთებმა ჩვენი წვეილის შესახებ უკვე აცნობეს ყველას. აღსანიშნავია, რომ აქ სპორტსმენები ხმარობდნენ კიბეებს, თოკის ბაქნებს, რომლებიც დროს მნიშვნელოვნად ზრდის და ჩრდილს აყენებს ტექნიკას. ამიტომ ჩვენ კიბეზე უარი ვთქვით და ყოველგვარი დამხმარე ხელსაწყოების გარეშე ერთ საათში გავიარეთ 400-მეტრიანი შვეული კედელი.

გამართლდა გ. აფანასევის ნათქვამი: ხერგიანსა და მის პარტნიორს მეტოქე არა ჰყავთ ამ შეჯიბრებაზეო.

მაგრამ წინ კიდევ მეტი სიძნელეები იყო. 18 სექტემბერს ისევ შეთავაზეს საბჭოთა წყვილს აერჩიათ მარშრუტი. უკან დახევა არ შეიძლებოდა, საბჭოთა მთამსვლელებს უნდა დაემტკიცებინათ თავიანთი უპირატესობა ყველა მარშრუტზე. ამიტომ მათ აირჩიეს მეექვსე, ყველაზე ძნელი მარშრუტი. იგი წარმოადგენდა 600 მეტრი სიგრძის მთლიანად სწორ კედელს, ადგილებზე უარყოფითი კუთხეებით. ამ შეჯიბრებამდე ეს მარშრუტი გავლილი ქონდა მხოლოდ ორ ბულგარელ სპორტსმენს, 12 საათში.

როცა მიხეილმა კედელი გულმოდგინედ დაათვალიერა, გადაწყვიტა ესეც კიბის გარეშე გაევლო. კედლის 400 მეტრის შემდეგ ტრასა გვერდზე უხვევდა. მიხეილი შეეკითხა ამ ტრასაზე უკვე ნავალ მთამსვლელებს, რატომ პირდაპირ არ გაიარეთო, ბულგარელმა უპასუხა, რომ ტრასის ამ მონაკვეთიდან ფინიშთან პირდაპირ ასვლა შეუძლებელიაო.

და აი, საბჭოთა წყვილმა დაიწყო კედლის შტურმი. მარშრუტის მესამედი მათ გაიარეს აღწერილი გზით. ამ მონაკვეთზე მხოლოდ კლდის სამი პალო გამოიყენეს. იქ, სადაც ტრასა გვერდზე უხვევდა, სული მოითქვეს და პირდაპირ განაგრძეს გზა. კლდის ძირში განლაგებული მაყურებლები აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ, თანაც ეშინოდათ, რომ მამაცები კლდიდან არ ჩამოცვენილიყვნენ. მაგრამ ისინი სწრაფად მიიწევდნენ მაღლა. მარშრუტის გავლას ოთხი საათი მოანდომეს. მეორე დღეს რუმინელმა მთამსვლელებმა გ. ჩაჩუნმა და ა. ფლორიჩმა გადაწყვიტეს ხერგიანის გზით მე-6 მარშრუტის გავლა. აი მათ მიაღწიეს იმ მონაკვეთს, სადაც ტრასა გვერდზე უხვევდა. სამი საათი ტკეპნეს ერთი ადგილი, ვერ მოძებნეს ბზარი თუნდაც ერთი პალოსათვის და... უკან დაბრუნდნენ, ჩამოსვლის შემდეგ ხერგიანს შეეკითხნენ:

— რატომ პალო არ დატოვეთ, ან საერთოდ სად არის იქ პალოს ჩასახობი ადგილი?

— ჩვენ მარშრუტის ეს მონაკვეთი პალოს გარეშე გავიარეთ. — მიუგო მათ ხერგიანმა. რუმინელმა მეტი არაფერი იკითხა, მაგრად ჩამოართვა ხელი მიხეილს.

19 სექტემბერს შეჯიბრების უკანასკნელ დღეს საბჭოთა, რუმინელი, ბულგარელი და ჩეხი სპორტსმენები გადიოდნენ 6 „ბ“ კატეგორიის მარშრუტს. ჩვენმა წყვილმა ეს გზა გაიარა 2 საათსა და 50 წუთში. მეორე ადგილზე გამოსული რუმინელთა წყვილი კი 7 საათს მოუნდა.

როდესაც შეჯიბრება დამთავრდა, მაყურებლებმა და მონაწილეებმა თხოვნით მიმართეს ხერგიანს გაეზიარებინა თავისი გამოცდილება, შეეფასებინა ეს მარშრუტები, აზრი გამოეთქვა სხვა ქვეყნების სპორტსმენთა ტექნიკაზე. ეს გაუთვალისწინებელი პრესკონფერენცია სიტყვაძუნწმა საბჭოთა სპორტსმენმა ასე დაიწყო:

— როცა ალპინიზმში კიბეები, დასადგომი ბაქნები და სხვა ხელსაწყოების ხმარება შემოიღეს, რაც წინა წლებში არ იყო პრაქტიკაში, მე ისინი ვაჩვენე მამას და აგრეთვე ბიძას, სპორტის დამსახურებულ ოსტატს მ. გვარლიანს. — თქვა მიხეილმა. — ალპინიზმის ვეტერანებმა მოისმინეს და მშვიდად მიპასუხეს, თუ ამის გარეშე მთაში ვერ ივლი, ჯობია სახლში დაჯდე. მთაში კიბეებით და დასადგომი ბაქნით სიარული უკვე ალპინიზმი აღარ არისო.

მიხეილის ასეთმა გამოსვლამ კმაყოფილება გამოიწვია დამსწრეთა შორის. შემდეგ მან ბევრი ილაპარაკა ალპინისტთა წვრთნის საბჭოურ მეთოდებზე, მათს ინდივიდუალურ მომზადებაზე, თავისი ასვლების გამოცდილებაზე.

ფესტივალმა ბევრი გამოცდილება შეხძინა მონაწილეებს. ამიტომ ბულგარეთის ალპინიზმისა და ტურიზმის ფედერაციამ გადაწყვიტა ასეთი ღონისძიება კიდევ 1964 წელს ჩაატაროს.

პ. გვარლიანი



წლისთავს ზეიმობს საბჭოთა ალპინიზმი

# საიუბილეო საკავშირო შეჯიბრება

სპორტის ბევრმა სახეობამ სათავე უძველეს საუკუნეებში მიიღო. მათგან განსხვავებით სპორტულ აკრობატიკას თავისი არსებობის 25 წელი შეუძლია დაითვალოს. იგი ყველაზე ახალგაზრდა სახეობაა, რომელიც საბჭოთა ქვეყანაში დაიბადა და შემდეგ გავრცელება ჰპოვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

1938 წელი, 11 ოქტომბერი — ესაა სპორტული აკრობატიკის დაბადების დღე. ამ დროს მოსკოვში, აკრობატთა აქტივის პირველ თათბირზე შეიქმნა აკრობატიკის საკავშირო სექცია, რომლის თავმჯდომარედაც არჩეულ იქნა ამ სტრიქონების ავტორი. დაიბადა ახალი, მშვენიერი, ესთეტიკური და ათლეტური სახეობა, რომელიც დღეისათვის 300 ათას მიმდევარს ითვლის.

პირველი საკავშირო შეჯიბრება გაიმართა 1939 წელს. და უკვე ამ შეჯიბრებაზე დიდი გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს წარგზავნილებმა. მ. ქელეხსაშვილი, ფ. ემელიანოვი, ტ. მაყაშვილი და კ. ვართანოვი გახდნენ საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონები ჯგუფურ ვარჯიშებში და შემდეგაც, მთელი ექვსი წლის მანძილზე არცერთხელ არ დაუთმიათ ეს მაღალი წოდება. მესამე საპრიზო ადგილი ამავე სახეობაში კვლავ საქართველოს სპორტსმენებს ხვდათ წილად (კოჩერგინი, ბექლამიძე და გორელჩენკო).

რესპუბლიკის სპორტსმენთა ეს წარმატება შემთხვევითი არ იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ სწორედ საქართველოს ორგანიზაციები გამოეხმაურნენ პირველად ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის სადირექტივო დოკუმენტს სპორტული აკრობატიკის შექმნის თაობაზე. სწორედ საქართველოს დედაქალაქში, 1939 წლის 15 მარტს დამტკიცდა დებულება რესპუბლიკის პირველი პირველობის ჩატარების შესახებ და შემდეგ — 11 მაისს პირველად აღიმართა აკრობატიკაში საქართველოს პირველობის შეჯიბრების ალამი. შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ მეორე საკავშირო პირველობა აკრობატიკაში 1940 წელს ჩატარდა თბილისში.

და აი გავიდა 25 წელი. საბჭოთა აკრობატიკა თავის მეოთხედსაუკუნოვანი თარიღის იუბილეს იხდის. და იგი იხდის ისევ საქართველოს დედაქალაქში — თბილისში, სადაც მალე აღიმართება საიუბილეო ჩემპიონატის ალამი. 26 ოქტომბერს სპორტსმენები დაამთავრებენ ნებისმიერ ვარჯიშებს, ხოლო 27 ოქტომბრიდან დაიწყება ასპარეზობის ყველაზე უფრო საინტერესო ნაწილი — ფინალი. ფინალურ შეჯიბრებებში მონაწილეობას მიიღებენ სპორტსმენები, რომლებიც წინასწარ შეჯიბრებაში მოიპოვებენ I-IV ადგილებს წყვილთა და ჯგუფურ ვარჯიშებში და I-VI ადგილებს ხტომით ვარჯიშებში. ეს სპორტსმენები გაითამაშებენ სწორედ ჩემპიონისა და საპრიზო ადგილების მედლებს ერთმანეთს შორის.

რა პერსპექტივები აქვთ დღეს საქართველოს სპორტსმენებს აღნიშნულ ჩემპიონატში? პირდაპირ უნდა ვთქვათ: ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალზე ხტომით ვარჯიშებში მეტად საფუძვლიანი პრეტენზიები აქვს საქართველოს გუნდის წევრს ვ. ლიტვინოვს. მან გასულ ჩემპიონატზე უკვე დაიკავა საპრიზო ადგილი, ხოლო ახლა იგი საუკეთესო სპორტულ ფორმაში იმყოფება. ამის დადასტურებაა სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" ჩემპიონის წოდება, რომელიც მან მიმდინარე წელს მოიპოვა.

თვალსაჩინოდ გაიზარდა სრულიად ახალგაზრდა წყვილის — ტ. ხუდოევისა და გ. დავიდოვის სპორტული ოსტატობა. ისინიც ხომ იმავე „შრომითი რეზერვების" ჩემპიონები გახდნენ ახლახან დამთავრებულ ასპარეზობაზე! გასულ საკავშირო პირველობაზე ეს წყვილი პირველად გამოვიდა ასეთი დიდი მასშტაბის შეჯიბრებაზე და შეძლო მეხუთე საპატიო ადგილის მოპოვება.

საერთოდ, საიუბილეო ჩემპიონატში ჩვენი ქვეყნის 200 უძლიერესი აკრობატი მიიღებს მონაწილეობას და ძნელი სათქმელია, თუ ვინ დადგება მათ შორის გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს და მომდევნო საფეხურებზე.

მაგრამ ერთი რამ ცხადია: ჩემპიონატი იქნება მეტად მძაფრი, საინტერესო და მიმზიდველი.

პირად ჩათვლაში შეჯიბრების გარდა სპორტის სასახლის ასპარეზზე გამოვლენ ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების გუნდებიც: „ბურევესტნიკი", „ტრუდი", „შრომითი რეზერვები", „სპარტაკი", საბჭოთა არმიის სპორტული კლუბი, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების — „ავანგარდის", „კრასნოე ზნამიას", „ენბეკის", „მეხნატის", „მოლდოვას" და სხვა კოლექტივები.

ჩემპიონატისადმი ინტერესს აძლიერებს ისიც, რომ მასში უფროსებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი აკრობატიკის ნორჩი ნიჭიერი ცვლა — ჭაბუკი სპორტსმენები.

ვუსურვოთ საიუბილეო საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებს მაღალი სპორტული შედეგები.

ა. ბონდარევი,

სსრ კავშირის ტანვარჯიშის ფედერაციის აკრობატიკის კომიტეტის თავმჯდომარე, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

## ისევ გამარჯვება

ლვოვი. (ტელეფონით). გრძელდება არმიელ ტყვიით მსროლელთა საკავშირო პირველობა. ახალ წარმატებას მიაღწია თბილისელმა ოსტატმა, ხალხთა III სპარტაკიადის ჩემპიონმა ლ. ჟურულმა. მას შემდეგ, რაც მან ჩემპიონობა მოიპოვა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან წოლილა სროლაში, ძალები სცადა ამავე იარაღიდან სტანდარტზე (3×20) სროლაშიც.

წოლილა სროლის დროს მიღებული 20 ტყვიით ლ. ჟურულმა 196 ქულა მოაგროვა, რაც საკმაოდ მაღალი შედეგია. კარგად გამოვიდა იგი ჩოქელა მდგომარეობიდან სროლაშიც. 200 შესაძლებლიდან ოსტატმა მხოლოდ 10 ქულა დაჰკარგა, ბოლოს ყველაზე უკეთესი შედეგი (175 ქულა) აჩვენა დგომელა სროლაშიც. სამი მდგომარეობის ჯამში მოაგროვა 561 ქულა და დაისაკუთრა უძლიერესის სახელი ქალთა შორის. მისი ეს მაჩვენებელი 9 ქულით აღემატება ოსტატის ნორმატივს.




# თერთმეტი ხუთიანი

**თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 19 ოქტომბერი.**

**„დინამო" (თბილისი)-„სპარტაკი" (მოსკოვი) — 1:0 (0:0).**

**„სპარტაკი": მასლაჩენკო, სოლდატოვი, დიკარევი, კრუტიკოვი, კორნეევი, ნეტო, ამბარცუმიანი (რეინგოლდი), ფალინი, ლოგოფეტი, სევიდოვი, ხუსაინოვი.**

**„დინამო": კოტრიკაძე, სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, მელაშვილი, ბარქაია, დათუნაშვილი, მესხი.**

**მსაჯი ა. ალოვი (ლენინგრადი).**

✦

თამაშის დამთავრების შემდეგ თბილისის „დინამოს" უფროსმა მწვრთნელმა მ. იაკუშინმა, როგორც ეს წესია, თავისი გუნდის მოთამაშეებს სამსაჯო ოქმში ჩაუწერა ნიშნები. თერთმეტი ფეხბურთელის გვარების გასწვრივ აღნიშნულ იქნა თერთმეტი ხუთიანი და ვფიქრობთ, ასეთი მაღალი შეფასება არაა გამოწვეული ძლიერ მოწინააღმდეგესთან მოპოვებული გამარჯვების შთაბეჭდილებით. თვითეულმა დინამოელმა გუშინ ითამაშა მთელი თავისი შესაძლებლობით, მთელი ოსტატობით და კოლექტივმა დაამტკიცა, რომ მას შესწევს ძალა დაიბრუნოს ის პოზიციები, რომელიც მნიშვნელოვნად შეირყა მეორე წრეში. ასე კარგად ჩვენს გუნდს კარგა ხანია არ უთამაშია.

მატჩი ძალზე ძნელი იყო. მინსკში განცდილი დამარცხების შემდეგ სპარტაკელთათვის უკიდურესად საჭირო იყო ქულათა მარაგის შევსება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი შანსები პირველი ადგილისათვის ბრძოლაში ერთობ პრობლემატური იქნებოდა. გუშინდელ თამაშში „სპარტაკისათვის" ბევრი რამ წყდებოდა.

მაგრამ მოსკოველებმა ვერაფერი გააწყეს მასპინძლებთან. ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მატჩის დასაწყისს, სადაც ძირითადად გადაწყდა საერთო უპირატესობის მოპოვების, თამაშის სადავეების ხელში აღების საკითხი. დინამოელთა მიერ აღებული მაქსიმალური ტემპი, ბურთის სწრაფი გათამაშება ნახევარდაცვის აქტიური საიერიშო მოქმედებით, კომბინაციური შეტევა დრიბლინგის ზომიერი გამოყენებით მოსკოველებს არ აძლევდა საშუალებას გეგმიანად ეწარმოებინათ კონტრშეტევა და გაეშალათ პოზიციური თამაში შუა მინდორში.

ძალზე ძლიერად ჩაატარა მატჩი ხურცილავამ. მისი პარტნიორები მარცხნივ—ჩოხელი და ზეინკლიშვილი წარმატებით აწარმოებდნენ ინდივიდუალურ ბრძოლას უშუალო მოწინააღმდეგეებთან, მაგრამ ხურცილავა წარმოადგენდა იმ მაორგანიზებელ ძალას, რომელიც მძიმე სიტუაციაში ერთ მთლიან მექანიზმად ჰკრავდა დაცვას. რაც შეეხება სიჭინავას, მან თითქმის აბსოლუტურად გამოთიშა თამაშიდან იტალიის ნაკრებთან მატჩის გმირი ხუსაინოვი. სწორი, გააზრებული მოქმედების შედეგად „სპარტაკის" მარცხენა გარემარბის ყოველი მანევრი გადაჭრით იქნა ლიკვიდირებული.

ნახევარდაცვის თამაშს დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისელთათვის და გუშინდელ მატჩში როგორც იამანიძე, ისე დათუნაშვილი ქების ღირსნი არიან. სწორედ მათი მეოხებით იწყებოდა სწრაფი იერიში მინდვრის სიღრმიდან და ფორვარდები დაუგვიანებლად ღებულობდნენ ბურთს შეტევის გასაგრძელებლად.

ძნელია ვინმეს მიანიჭო პრიორიტეტი ჩვენს თავდასხმაში, რომელიც ახალი ვარიანტით გამოდიოდა აღნიშნულ მატჩში. მაღალი ბურთების გათამაშება ამჯერად გამორიცხული იყო კალოევის არყოფნის გამო, ამდენად ბარქაიას დიდი ტაქტიკური უნარის გამოჩენა მართებდა ცენტრში წარმოებული მძიმე ბრძოლის სახელმძღვანელოდ. მან ამ ამოცანას ბრწყინვალედ გაართვა თავი, კერძოდ ბარქაიამ საუცხოოდ შეარჩია ადგილი 49-ე წუთზე გათამაშებულ კომბინაციაში. მესხმა კუთხური დარტყმიდან იამანიძეს მიაწოდა ბურთი, კვლავ უკან მიიღო იგი და მოპირდაპირე ფლანგზე გადასცა მეტრეველს. მარჯვენა გარემარბმა ცენტრში დააბრუნა ბურთი და ბარქაიამ მასლაჩენკოსთან პირისპირ შეტაკებისას გაიტანა გოლი — 1:0.

მთელი თავისი მდიდარი ტალანტით თამაშობდა მესხი. მის მიერ უნაკლოდ შესრულებული ურთულესი ფინტების წინაშე უძლური იყო არა მარტო პერსონალური მცველი — სოლდატოვი, არამედ ამ ფრთაზე დასახმარებლად მივლინებული სხვა მოთამაშეებიც. მესხმა შეიტანა „სპარტაკის" დაცვაში ის დეზორგანიზაცია, რომლის ხელახლა მოწესრიგება გუნდმა ვერაფრით ვერ შეძლო. შედარებით სუსტად გამოიყურებოდა პირველ ტაიმში ჩვენი მარჯვენა ფრთა, მაგრამ აქ მეტრეველს არ ჰქონდა საშუალება მთელი ძალით ეთამაშა, ვინაიდან კრუტიკოვი სისტემატურად არღვევდა წესებს და მისი წყალობით ცდილობდა მოწინააღმდეგის იერიშების უვნებელყოფას. მეორე ტაიმში კრუტიკოვს ვერც ამ „უხეშობის ტაქტიკამ" უშველა. მეტრეველი ფლანგის სრული ბატონპატრონი იყო. რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა მელაშვილმა, რომლის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთის აღება გაჭირვებით შეძლო მასლაჩენკომ 35-ე წუთზე.

ამრიგად, თბილისელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი შეხვედრა და ალღეს კიდეც რევანში, მაგრამ, ჩვენის აზრით, ანგარიში 1:0 მხოლოდ მინიმუმია იმისა, რის მიღწევაც გუნდს შეეძლო. „სპარტაკის" კართან არ იქნა გამოყენებული ბურთის გატანის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა.

ა. ზაზროევი,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

რ. ქორიძე.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მოსკოვი) | 30 | 18 | 9 | 3 | 41—11 | 45 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 31 | 19 | 4 | 8 | 53—25 | 42 |
| „დინამო" (მინსკი) | 32 | 15 | 11 | 6 | 39—23 | 41 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 34 | 13 | 15 | 6 | 43—30 | 41 |
| „დინამო" (თბილისი) | 31 | 14 | 12 | 5 | 47—32 | 40 |
| „დინამო" (კიევი) | 31 | 15 | 9 | 7 | 63—41 | 39 |
| ცსკა | 31 | 11 | 16 | 4 | 25—17 | 38 |
| სკა (როსტოვი) | 32 | 15 | 7 | 10 | 57—34 | 37 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 32 | 15 | 7 | 10 | 40—37 | 37 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 31 | 10 | 13 | 8 | 37—31 | 33 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 32 | 9 | 12 | 11 | 23—27 | 30 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 31 | 6 | 16 | 9 | 20—31 | 28 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 31 | 5 | 16 | 10 | 33—41 | 26 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 32 | 9 | 6 | 17 | 36—45 | 24 |
| „არარატი" (ერევანი) | 31 | 8 | 8 | 15 | 31—43 | 24 |
| „დინამო" (ლენინგრადი) | 34 | 5 | 14 | 15 | 31—46 | 24 |
| „ავანგარდი" (ხარკოვი) | 34 | 6 | 12 | 16 | 23—50 | 24 |
| „კაირატი" (ალმა-ატა) | 31 | 7 | 9 | 15 | 21—44 | 23 |
| „მოლდოვა" (კიშინოვი) | 31 | 4 | 14 | 13 | 17—37 | 22 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 32 | 3 | 10 | 19 | 30—65 | 16 |

• • •

„დინამო" (კიევი)-„პახტაკორი" (ტაშკენტი) — 4:1

„ნეფტიანიკი" (ბაქო)-„ზენიტი" (ლენინგრადი) — 0:1

ცსკა (მოსკოვი)-„არარატი" (ერევანი) — 0:0

„მოლდოვა" (კიშინოვი)-„კაირატი" (ალმა-ატა) — 0:0

„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)-„შახტიორი" (დონეცკი) — 2:0

„დინამო" (მინსკი)-„ავანგარდი" (ხარკოვი) — 2:1




## ტორპედოელთა მატჩი

გუშინ მოსკოვში თამაშობდნენ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქისა და ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდები. მატჩის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით. სახიფათო მომენტები ხშირად იქმნებოდა როგორც ურუშაძის, ისე კავაზაშვილის კართან, მაგრამ მცველები და მეკარეები მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ. შუა ტაიმში ერთგვარი ტერიტორიული უპირატესობა ხელთ იგდეს ქუთაისელებმა და 24-ე წუთზე სირაძემ გახსნა ანგარიში — 1:0.

მარცხმა გარდატეხა შეიტანა მასპინძელთა თამაშში ... წიათ დამარცხებისათვის, მაგრამ ურუშაძემ ამ დღეს აჩვენა ნამდვილად ბრწყინვალე თამაში, რითაც ერთხელ კიდევ წარმატებით დაიცვა ჩვენი ქვეყნის ნაკრების მეკარის რეპუტაცია.

შესვენების შემდეგ ქუთაისელები კვლავ მაღალ ტემპში თამაშობდნენ, მაგრამ საბოლოო დარტყმები არაზუსტი იყო. მატჩის 69-ე წუთზე მოსკოველთა ერთ-ერთი შეტევა მეშჩერიაკოვმა საპასუხო გოლით დაამთავრა — 1:1. დარჩენილ დროში მოწინააღმდეგეთა ცდას, მიეღწიათ გადამწყვეტი უპირატესობისათვის, შედეგი არ მოჰყოლია.

## APN მოგვითხრობს

### ფეხბურთელები... ბაზარში

საფრანგეთის ქალაქ ალიერის ფეხბურთელებმა ადგილობრივ მუნიციპალიტეტს შეთავაზეს სამსახური... ქალაქის ბაზრის ყოველკვირა დაგვა. ამის შემდეგ ყოველ შაბათს სპორტსმენები, ვიდრე სტადიონზე მივიდოდნენ, გაივლიან ბაზარში და ჰგვიან მის ტერიტორიას. გამოირკვა, რომ ადგილობრივი გულშემატკივრები, რომლებიც უკმაყოფილოები არიან თავიანთი გუნდის თამაშით, ყოველი მატჩის წინ გაივლიდნენ ბაზარში, შეაგროვებდნენ დამპალ ბოსტნეულსა და ხილს და ტრიბუნებიდან ესროდნენ გუნდის წევრებს, რომლებიც შეხვედრის შემდეგ იძულებული იყვნენ გაეწმინდათ ფეხბურთის მოედანი ნაგვისაგან. ასე, რომ ფეხბურთელების მიერ ბაზარში დამყარებულ წესრიგს აზრი ჰქონდა.

✦

### რეკორდსმენის სიკვდილი

სულ ცოტახნის წინათ ამ სპორტსმენის წარმატებებზე წერდა ამერიკული პრესა. „სტოუნ ჯონსონი — ერის იმედი", — ასე ლაპარაკობდნენ აშშ-ს ოფიციალური წარმომადგენლები რომის ოლიმპიადის წინ. ოლიმპიადის დაწყებამდე ეს სპორტსმენი მსოფლიო რეკორდსმენი გახდა 200 მეტრზე რბენაში. ჯერჯერობით მისი შედეგი — 20,5 წამი ვერავინ გააუმჯობესა.

რომში ჯონსონი წარუმატებლად გამოვიდა, მართალია იგი ფინალში გავიდა, მაგრამ აქ მან მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა. ამის მიუხედავად ჯონსონი დარჩა ერთ-ერთ პოპულარულ სპრინტერად მსოფლიოში. ამით ისარგებლეს ამერიკული ფეხბურთის კლუბის „კანზას-სიტის" მეპატრონეებმა და აიძულეს სახელგანთქმული მძლეოსანი პროფესიონალი ფეხბურთელი გამხდარიყო. მეგობრების თხოვნის მიუხედავად ჯონსონი გუნდის წევრი გახდა. მართალია, იგი დიდძალ თანხას იღებდა და შიმშილისაგან სიკვდილი არ მოელოდა, მაგრამ ახალმა პროფესიამ მას სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. თავისი გუნდისა და „ხუსტონ-ოილერსის" გუნდების მატჩის დროს ჯონსონმა ისეთი ტრავმა მიიღო, რომ რვა დღის შემდეგ გარდაიცვალა.

✦

### ადგილზე ტკეპნა

გფრ-ს ხანშიშესულმა კანცლერმა ადენაუერმა როგორც იყო დატოვა თავისი პოსტი და თავისი ადგილი დაუთმო უფრო ახალგაზრდა ვიცე-კანცლერ ერჰარდს. ადენაუერმა განაცხადა, რომ ამჟამად მას გაცილებით ბევრი თავისუფალი დრო აქვს და ამიტომ გადაწყვეტილი აქვს შევიდეს ეგრეთწოდებული „ქვეითი სიარულის მოყვარულთა სპორტულ საზოგადოებაში". ამ დაწესებულებას აქვს სპეციალური წესდება. ყოველ მის წევრს ეძლევა განსაკუთრებული წიგნაკი, სადაც აღინიშნება სეირნობის ხანგრძლიობა. კაცი, რომელიც (რასაკვირველია მოწმეების თანდასწრებით) გაივლის დაწესებულ ნორმას, იღებს ეროვნულ ნიშანს — ბრინჯაოს, ვერცხლის, ან ოქროს ფეხსაცმელს. ადენაუერმა განაცხადა, რომ იგი ერთ-ერთი წამყვანი მოღვაწე იქნება საზოგადოებაში. ამასთან დაკავშირებით დასავლეთგერმანელი ჟურნალისტები ირონიულად აცხადებენ: „თუ კი ადენაუერი აქაც ისე მოიქცა, როგორც კანცლერობის დროს, „ფეხით სიარულის მოყვარულთა საზოგადოება" იძულებული შეიქნება შეიცვალოს სახელი და დაირქვას „ადგილზე ტკეპნის საზოგადოება".




**ევროპის** ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთის „ფერენცვაროში" და თურქეთის „გალატასარაი". თურქებს პირველი მატჩი საკუთარ მინდორზე მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 4:0, ამიტომ ბუდაპეშტში მათ გააძლიერეს დაცვა და უნგრელებმა გაიმარჯვეს მხოლოდ ანგარიშით 2:0. „გალატასარაი". გავიდა გათამაშების მეორე წრეში.

**დაიწყო** დიდი ბრიტანეთის ტრადიციული ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ ინგლისის, შოტლანდიის, ჩრ. ირლანდიისა და უელსის გუნდები. ინგლისელებმა იოლად დაამარცხეს უელსელები—4:0, ხოლო შოტლანდიელებმა მოულოდნელად წააგეს ჩრ. ირლანდიასთან — 1:2.

რედაქტორი Ო. ᲣᲑᲣᲚᲐᲕᲐ.

## Ე.. ᲡᲘᲛᲝᲜᲝᲕᲘ

★



— რა გქვია?

— ალექსანდრა.

— მე გახას მეძახიან, მოხევე გახა წიკლაური, ცდოდან.

— გამარჯობათ, ყაზბეგის პროფესორო.

— გამოდის, რომ მიცნობ, შვილო. — გაიღიმა გახამ.

როგორ არ უნდა სცნობოდა? გახა ხომ თხუთმეტჯერ იყო ყაზბეგზე.

...მაგრად ეძინა, უსიზმროდ. ხელს არ უშლიდა თერგი, რომელსაც ერძლოდეს არ ეძინება და მთელი ღამე ვილაცას უჯავრდება, თან ლოდებს ლეჰავს, ლეჰავს და ვერ დაულეჰია, ამაზე თუ ბრაზობს. დილით გახამ შეამოწმა საჰურველი. მერე მჰედელთან წავიდა. ტყავის წინსაფრიანმა წვერებიანმა კაცმა ალექსანდრას რკინის პატარა ჩარჩო გაუწოდა, რომელსაც ოთხი ბასრი წვეტი ჰქონდა, „სადაც ყინული შეგხვდება, ამებს ფეხზე დაიმაგრებ და ისე ივლი". — თქვა გახამ და უკმაყოფილოდ გადახედა ახალგაზრდა ექიმს სოსო ასლანიშვილს, რომელმაც საპალნიდან ბანდულები ამოიღო და ამაყად გამოაცხადა: „შეკერილია ყველაზე კარგ მეწაღესთან, ჩვენი ნიმუშის მიხედვით".

გახამ სკამზე წყვილი ბანდული დადო; კოჟრებიანი თითით გასინჯა სიმეტრიულად განლაგებული კვანძები, „არ ვარგა, უნდა გადაკეთდეს, ფეხს გატკენთ". ყველა მეწაღედ იქცა: ობსერვატორიის დირექტორი დიდებულიძეც, ცნობილი ტოპოგრაფი ქავთარაძეც და ამინდის ბიუროს სინოპტიკი ავალიშვილიც.

მერე ყველა გვერდით ხეობაში წაიყვანა ქუჩის მოსაკრეფად.

— მწვერვალზე ძროხები ხომ არ მიგვყავს? — იხუმრა სოსომ.

გახამ არაფერი უპასუხა.

— დანით თუ მოჭრით, მოკლე იქნება.

ქუჩი ფეხზე უნდა დაახვიო და მერე ჩაიცვა ბანდულები. ქუჩი მაგარი იყო, ალექსანდრას ხელიც კი გაუჭრა, არაფერი უთქვამს, გახასი შეეშინდა, ვაი თუ მწვერვალზე არ წამიყვანოსო.

სოფელში ჩვეულებრივი დღე იწყებოდა; მაგრამ ალექსანდრა ღელავდა, გრძნობდა, რომ დღეს უნდა გადაებიჯებია მთელი სიცოცხლის რომელიღაც ზღურბლზე. იმ სიცოცხლისაც, რომელიც უკან დარჩა და იმ სიცოცხლისაც, სადღაც, წინ, თერგზე ჩამოწოლილ მზით განათებულ ნისლში რომ მოჩანს. ალექსანდრამ სიხარულითა და შიშით შეხედა გახას, რომელსაც ზედმეტ სიტყვას ვერ დააცდენდი. გახამ მოხედა გულკეთილად გაუღიმა და ამ ღიმილში ალექსანდრამ ამოიკითხა: „ნუ გეშინია, ყველაფერი რიგზე იქნება. ალექსანდრა!"

აღმართზე ქვევით გაიხედა. ყველაფერი, რაც იქ დარჩა, შეიკუმშა, დაპატარავდა, ის კი, რაც წინ იყო, მოახლოვდა, გადიდდა, გამოეყო მთის მასივიდან და უკვე შეიძლებოდა მკაფიოდ გაგერჩია მყინვარის ნაცრისფერი მორენა, დევდორაკის მყინვარის აქოჩრილი ზედაპირიც, შორეული ფირნის ველის მშვიდი ელვარებაც.

თუმცა ოფლად იღვრება და ცივი ქარისაგან თმებში წვეთებად ეყინება, სულ უფრო და უფრო მძაფრად გრძნობს ალექსანდრა სიახლეს. თითქოს არაჩვეულებრივ სამყაროში მოხვდა. ფრთები შეისხა, გაფრინდა და ქვევით დარჩენილი ნაცნობი სამყაროსაგან მხოლოდ თერგის მიყრუებული ხმაურიღა დარჩა.

მცირე შესვენება. სოსო საჭმელს იღებს. დამარილებული ღორის ქონი? არა! შოკოლადი? არც ეს უნდა! გახა უწვდის რაღაცას.

— არ მინდა, გახა.

— უარს ნუ ამბობ, გალინჯე.

ტყლაპი ყოფილა. მართლაც, აქ მჟავე ტკბილსაც სჯობია და მსუქანსაც.

— გმადლობ, გახა!

მოხუცი დაკოჟრებულ ხელს იშვერს. ახალ თოვლზე კვალი ჩანს.

— ჯიხვს გაუვლია. დაგვინახა და კლდეებს შეეფარა.

საიდანღაც ღრუბელი გაჩნდა, საიდან? ცაში კი არ არის, ფერდობს მიჰკვრია.

— ეს ღრუბელი არ არის, გოგონი, — იცინის გახა. კარგად შეხედე. ზვავი!



სურათზე: სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ჯაფარიძე.

ვინც ეს სამყარო დაანახვა, მაგრამ გახა ტუქსავს: — შეწყვიტეთ ლაპარაკი, ძნელი აღმართია.

ქარი უსტვენს. ფირნი ჭრიალებს. ნაკადულები სადღაც გარბიან. და საიდანღაც ყინულის სიღრმიდან ისმის მთის სუნთქვა.

გახა თოკს შლის, „ჩაებით. ნაპრალებია. ჩემს კვალს გამოყევით". ალექსანდრა სულ უფრო მეტად გრძნობს საფრთხეებს. გულში კი მღერის და წყინს, რომ გაჩერება არ შეიძლება, რომ უბის წიგნაკში ჩაწეროს ყველაფერი, რასაც ხედავს, ესმის, გრძნობს.

— გავდივართ კონუსზე. ციცაბოა. ფრთხილად! —ამბობს გახა და

ალექსანდრას უყურებს. — კარგად დადიხარ.

ძირს დახრილი თავები, შავი სათვალეებით. თოვლით გათეთრებული ფიგურები. ვიღაცა მათარას აწვდის, მაგრამ შიგ ყავის ნაცვლად შავი ყინულია. და ნუთუ ეს ერთფეროვანი მოძრაობა, როცა შენ თითქოს ძალით მიათრევ სხეულს, გახევებულ ფეხებს და დამძიმებულ თავს, ნუთუ ესაა ალპინიზმი?

— მორჩა, ავედით! — ხრინწიანად ამბობს გახა და ულვაშებიდან ყინულს იცილებს. — ამოალაგეთ თქვენი მანქანები, სანდრო, გაზომე, რის გაზომვაც გინდა.

...ბასრი თხემი იკლაკნება. ძველი კრატერის ჩანგრეული კიდეა. უფსკრულის თავზე პრეობრაჟენსკაიას მეტეოჯიხურია და შვიდი ადამიანი — მოქანცულები, მაგრამ ძალზე ბედნიერნი.

მთები კი მწკრივებად დამდგარან. ყველას თეთრი აცვია. ცივი, უხმო ელვარებაა. სულ შორს კი მოჩანს იალბუზი, დიდებული მწვერვალების სამყარო.

ფიქრობდა მაშინ ალექსანდრა, რომ ამ მწვერვალებზეც დაადგამდა ფეხს?

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" № 207






**24 - 27**

**ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ**

**ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲙᲠᲝᲑᲐᲢᲘᲙᲘᲡ 25 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲚᲕᲜᲘᲚᲘ**

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ 1963 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ-ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

**ᲐᲙᲠᲝᲑᲐᲢᲘᲙᲐᲨᲘ**

**დასაწყისი 11 და 17 ს.**

**Დ Ღ Ე Ს!**

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ" ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

**ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ**

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ —**

**ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ**

დასაწყისი 15 ს.

თბილისის ვეტერანთა შემადგენლობაში გამოვლენ: სპორტის დამსახურებული ოსტატები: ბ. პაიჭაძე, მ. ბერძენიშვილი, ა. ღოღობერიძე, ა. კიკნაძე, გ. გაგუა, ა. ზაზროევი, ნ. ძიაპშიპა; სპორტის ოსტატები: ს. ჭეჭელავა, ვ. ელოშვილი, კ. გაგნიძე, ა. თოდრია, რ. მახარაძე, ი. სარჯველაძე, მ. პირაევი, ა. პაიჭაძე, რ. კავსაძე, ნ. გოგლიძე, ბ. ჩიტაია, ა. კილაძე, ო. კინწურაშვილი.

საქართველოს სპორტკავშირი და ჭიდაობის ფედერაცია იუწყება სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის პეტრე იორდანიშვილის მეუღლის

**თამარ ივანეს-ასულ იორდანიშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს

ЛЕЛО ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.

დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 14. უი 11654